ოქმი #8

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 05 აპრილი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი

საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ყურაშვილი, ე. საღინაძე, გ. გოგებაშვილი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, გ. გურგუჩიანი, ბ. ახვლედიანი, გ. კოპალიანი, მ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, ა. თვარაძე, დ. მურცხვალაძე, რ. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: რ. ახვლედიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: გ. მამარდაშვილი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ს. გვიშიანი
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დ. ჩაკვეტაძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/ა.თუთისანი, გ. ხმელიძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

/ა.თუთისანი, გ. მამარდაშვილი/

4. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

6. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

7. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/ა. თუთისანი, დ. ჩაკვეტაძე/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, კ. მუშკუდიანი/

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ა. თუთისანი, ს. გვიშიანი/

3. ,,ქალაქ ცაგერის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის №51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ხეცურიანი, მ. თოდიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 მარტის №592 განაკარგულება ,,სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 300 000 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში, ხოლო ხარჯებში - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) – 300 000 ლარი (სოფლების ჩქუმის და ქულბაქის გზების რეაბილიტაცია).

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, გ. გუგავამ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/ა.თუთისანი, გ. ხმელიძე/

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, ნ. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

/ა.თუთისანი, გ. მამარდაშვილი/

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გელა მამარდაშვილმა აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით განმარტა - ,,საქართველოს კანონში ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ ბრძანების მიღების შემდეგ ამ ბრძანების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან,

ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალოს 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ემუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

აზრი გამოთქვეს: მ. მურცხვალაძემ, ზ. ყურაშვილმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

4. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

მომხსენებელმა - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილემ მირზა ქომეთიანმა განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის დადგენილებით ცვლილება შევიდა ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №37 დადგენილებაში. 2023 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შენიშვნებით დააბრუნა საკრებულოში და მოითხოვა შესაბამისი შესწორებების შეტანა, შენიშვნა გათვალისწინებული იქნა. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია ცვლილების შეტანის აუცილებლობა ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში და „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ე. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

აზრი გამოთქვეს: თ. ჭაბუკიანმა, მ. კოპალიანმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

6. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა.თუთისანი, მ. ქომეთიანი/

აზრი გამოთქვეს: გ. გუგავამ, თ. ნემსწვერიძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

7. შეტანის „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

/ა. თუთისანი, დ. ჩაკვეტაძე/

მომხსენებელმა - მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია ორი გარემოებით: 1. მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა რა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, შეიქმნა პროგრამა მძიმე ავადმყოფებისათვის მოვლის საშუალებებით (ნაწოლების ლეიბი, ჟანგბადის აპარატი და ა. შ.) უზრუნველყოფის შესახებ. 2. არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში დაინტერესებულ სწავლის მსურველთა მომართვიანობის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა სწავლების დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით გადაწყვიტა დიფერენცირება მოახდინოს დაფინანსებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ყურაშვილმა, მ. მურცხვალაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, კ. მუშკუდიანი/

აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა ,,ცაგერი საქრთველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარემ მალხაზ მურცხვალაძემ, ბატონმა მალხაზმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში დეტალურადაა ყველაფერი გაწერილი, შესრულებაა ყველა სფეროში 90 პროცენტზე ზემოთაა. გზებთან დაკავშირებით შესრულება არის 75 პროცენტი, მართალია ეს საუკეთესო შედეგი არ არის, მაგრამ დინამიკაში არის წინსვლა. ჩავარდნა არის ორ სფეროში, ეს არის წყალი და კეთილმოწყობა, სადაც შესრულება 35 პროცენტამდეა.

,,ცაგერი საქრთველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარეს მალხაზ მურცხვალაძეს გამოეხმაურა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სოფო გვიშიანი, ქალბატონმა სოფომ განმარტა, რომ წყლებთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პროექტი იყო წიფერჩის წყალი, ამასთან დაკავშირებით იყო ჩავარდნა, პროექტი არ იყო სათანადოდ შესრულებული, ახლა ველოდებით სამხარაულის ექსპერტიზის დასკვანას, რის შემდეგაც გაგრძელდება ღნიშნული პროექტი. ასევე ჩავარდნაა სოფელ ორბელის წყალთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება კეთილმოწყობას, ვერ შესრულდა ისეთი დიდი პროექტები როგორიცაა ღვირიშის ჩანჩქერი და ისუნდერის ჩანჩქერი, წიფერჩის ბაღი, დეხვირის მუზეუმი. ეს პროექტები არის გარდამავალი და დასრულდება მიმდინარე წელს.

აზრი გამოთქვეს: მ. მურცხვალაძემ, გ. ახვლედიანმა, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ფრაქციამ ,,ცაგერი საქართველოსთვის“
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.
/ა. თუთისანი, ს. გვიშიანი/

აზრი გამოთქვეს: გ. გოგებაშვილმა, ნ. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

3. ,,ქალაქ ცაგერის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის №51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ხეცურიანი, მ. თოდიძე/

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, ე. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: რეზო ხეცურიანი